სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №276

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი

18 ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი რექტორის პირველი მოადგილის ირაკლი კაცაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ქეჩერა" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ჩიქოვანის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნაბეჭდი მასალის დამცავი შრეებით (520 ცალი დიპლომის ბლანკის) მიწოდებას.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, ხარჯთაღრიცხვაში (დანართი №2), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;

2.3. კლასიფიკატორის კოდი: 22450000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება - 1300 (ერთი ათას სამასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3. <u>დაფინანსების წყარო:</u> საგანმანათლებლო მომსახურებიდან და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან.

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურის უფროსი - **ელდარ მსხალაძე.**

,,შემსყიდველი''

,,მიმწოდებელი''

ND 2-O05-12

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი.
6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 6 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
სახაზინო კოდი: 709007501
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESG22
ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ.№53

რექტორის პირველი მოადგილე
ირაკლი კაცაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ქეჩერა“

ანგარიშის №GE14PC0113600100029301
საიდენტიფიკაციო კოდი: 205268681
მიმღების ბანკი: სს “პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ქ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. 27

დირექტორი
ნიკოლოზ ჩიქოვანი

ხარჯთაღრიცხვა/ფასების ცხრილი

დანართი №2

№	დასახელება	მახასიათებლები	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება	მიწოდების ვადები
1	ბაკალავრის დიპლომის ბლანკი (ჩვეულებრივი) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	250	2.50	625,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში, ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
2	ბაკალავრის დიპლომის ბლანკი (წარჩინების) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	15	2.50	37,50	
3	მაგისტრის დიპლომის ბლანკი (ჩვეულებრივი) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	15	2.50	37,50	
4	მაგისტრის დიპლომის ბლანკი (წარჩინების) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	5	2,50	12,50	
5	უმაღლესი განათლების დიპლომის ბლანკი (ჩვეულებრივი) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	20	2,50	50,00	
6	უმაღლესი განათლების დიპლომის ბლანკი (წარჩინების) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	5	2,50	12,50	

7	პროფესიული დიპლომის ბლანკი (ჩვეულებრივი) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	170	2.50	425,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში, ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
8	პროფესიული დიპლომის ბლანკი (წარჩინების) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	5	2,50	12,50	
9	დიპლომირებული სპეციალისტისდიპ ლომის ბლანკი (ჩვეულებრივი) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	30	2,50	75,00	
10	შუალედური კვალიფიკაციის დიპლომის ბლანკი (ჩვეულებრივი) (დიპლომი BSMA 000001-დან)	ფერადი ფორმით, 120 გრ/მ.კვ წყლის ნიშნიან ქაღალდზე, შემდეგი დამცავი ნიშნებით: 1.დამცავი (გილოშელური) ბადეები (სამჯერადი); 2.ნიშანი (ლოგო) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას; 3.სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ გამოსცემს ლუმინესცენციას.	ცალი	5	2,50	12,50	
სულ თანხა:						**1300 ლარი**	

„შემსყიდველი“

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“

რექტორის პირველი მოადგილე
ირაკლი კაცაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ქეჩერა“

დირექტორი
ნიკოლოზ ჩიქოვანი

ND 2-O05-12